

პედაგოგიური პრაქტიკა დაწყებითი განათლების სპეციალობაზე

ბუჭუხიშვილი მამული – ასოცირებული პროფესორი, სწავლების მეთოდის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Pedagogical Practice at the Faculty of Primary Education

***Buchukhishvili Mamuli** – Associate Professor, Head of the Department, Department of Teaching Methodics, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

Abstract

Introduction and aim: Pedagogical practice plays a decisive role in the formation of the student as a teacher. In this case, more importance can be given to the teaching practice through primary undergraduate educational program, as the given specialty graduates can be defined as primary school teachers without any additional regulations. Teaching practice in the elementary classes demonstrates practical skills of pedagogical and methodological knowledge adopted within educational programs. It also helps to adapt to a new workplace and shapes those practical skills that are necessary to conduct a lesson.

Research methodology: During the pedagogical practice it is possible to convey the pedagogical and psychological theories and approaches in real school life. This gives us chances to develop those skills which will help us to give the pedagogical and psychological characterization/ description of pupils as a result of being observed by students. Throughout this pedagogical practice we also study the principles about how to govern the lesson or the school itself. It also takes into account the features of teaching the people with special needs.

Results and implications: The evaluation criteria of the students that undergo such pedagogical practice are versatile and multicomponent. The exceptional criteria are the following: the pedagogical and psychological study and characterization of pupils, conducting and evaluation of educational events and lessons, the production and assessment of a pedagogical practice diary, the presentation of practice report and hence, a final assessment.

Conclusion: In the conduction of pedagogical practice students can be given the appropriate forms of pre-approved evaluation criteria. By using this criteria and conclusive presentation, we will make the final assessment of the teaching practice.

Keywords: pedagogical practice, methodological knowledge, practical skills, psychological characterization, conclusive presentation

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში განსაზღვრულია დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა სახეები, რომელიც ითვალისწინებს, დაწყებითი კალსების მასწავლებელთა დიფერენცირებას მათი კვალიფიკაციის მიხედვით. რამდენადაც დაწყებითი განათლება მოსწავლეებს აძლევს სასტარტო ცოდნას, ამდენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვას, რომელიც უნდა გახდეს გარანტი მომდევნო ეტაპზე განათლების მიღების მყარი საფუძვლების შესაქმნელად.

სწავლების პირველ ეტაპზე, განათლების მიღების ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა მიერ საბაზისო კომპეტენციების შეთვისება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს შემდგომში ძირითადი სასწავლო უნარების ჩამოყალიბებას. მოცემული მიზნის

განხორციელებისათვის საჭიროა ახალი ტიპის მასწავლებლის მომზადება, რომელმაც უნდა შეძლოს: მოსწავლეთა ქმედებებისა და ქცევების მოტივების შეფასება, ასევე სასწავლო პროცესების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით წარმართვა.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა მომზადება წამყვან ქვეყნებში არაერთგვაროვანია, მაგალითად სხვადასხვა ქვეყანაში ყურადღება ექცევა: რომელიმე ძირითადი დისციპლინის ცოდნის სიღრმისეულ დაუფლებას (დიდი ბრიტანეთი), პედაგოგის პროფესიის მოტივირებულ არჩევას, რეფერატების შემოქმედებითი ამოცანებისა და პროექტების შექმნას (გერმანია), სპეციალური სამაგისტრო კურსის გავლას (ჩეხეთი).

წამყვანი ქვეყნების პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლებისა და უნივერსიტეტების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სტუდენტების როგორც მომავალი მასწავლებლის პროფესიული მომზადების სრულყოფისათვის, ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია, პედაგოგიური განათლების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიკური მიმართულება. ამ დროს მომავალი მასწავლებლები ეუფლებიან ტესტური სახის ამოცანების შედგენისა და მათი ამოხსნის თანამედროვე ტექნოლოგიებს.

დაწყებითი კლასების მასწავლებლების ეფექტური და ხარისხიანი მომზადების მიზნით სასურველია, მოხდეს პედაგოგიური პრაქტიკის მოდერნიზება სასწავლო პროცესის პარალელურად. კერძოდ სტუდენტების ყურადღება უნდა გავამახვილოთ აუცილებელი მეთოდური საშუალებებისა და ანალიტიკური პედაგოგიკის ელემენტების გამოყენებაზე, რაც გულისხმობს პრაქტიკის ხანგრძლივობის გაზრდას და ჩატარების ადგილის მრავალფეროვნებას.

ჩვენი აზრით, მოცემული მიდგომა კარგად იკვეთება 300 კრედიტიან დაწყებითი კლასების მასწავლებლის მომზადების კომბინირებულ კონცეფციაში, რომელიც ითვალისწინებს ერთწლიანი პრაქტიკის კვლევას და მისი ჩატარების მრავალფეროვნებას, სამწუხაროდ მოცემული მოთხოვნები ჯერჯერობით არ დაინერგა.

წამყვანი ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, რომ დაწყებით კლასებში ძირითადი საგნების სწავლებაზე უმეტეს შემთხვევაში განკუთვნილია ერთი მასწავლებელი, ზოგიერთ შემთხვევაში გვხვდება საგნობრივი სწავლების ელემენტებიც. საქართველოს განათლების კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, დაწყებითი კლასების მასწავლებლობის უფლება არ ეძლევა განათლების ბაკალავრის სპეციალობის კურსდამთავრებულს, რომელსაც მოეთხოვება მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის გავლა, რაც დიდ გაუგებრობას იწვევს სწავლების პროცესში. კანონის ამ მოთხოვნის თანახმად სწავლების პირველ საფეხურზევე უნდა გადავიდეთ საგნობრივ

სწავლებაზე, სხვა შემთხვევაში კანონის მოთხოვნები და რეალობა აცდენილია ერთმანეთს.

პირადი გამოცდილებიდან მივედით დასკვნამდე, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლის მომზადება და მისი განათლება უნდა იყოს კომპლექსური, აქედან გამომდინარე მომავალი მასწავლებელი უნდა ფლობდეს სასაწავლო დისციპლინათა მეცნიერულ საფუძვლებს, რომლების ისწავლებიან სწავლების პირველ საფეხურზე. სტუდენტებისათვის (მომავალი მასწავლებლებისათვის), აუცილებელია სასკოლო პედაგოგიური პრაქტიკის მაღალ დონეზე გავლა, რომლის დროსაც მოხდება მისი პროფესიული უნარების ფორმირება.

პედაგოგიური პრაქტიკა დაწყებით კლასებში ახდენს: საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული პედაგოგიური და მეთოდური ცოდნის პრაქტიკული უნარ-ჩვევების დემონსტრირებას, სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობას და საგაკვეთილო სისტემის წარმართვის პრაქტიკული ჩვევების ფორმირებას.

ამ დროს სტუდენტმა უნდა მოახდინოს, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური თეორიებისა და მიდგომების გადატანა რეალურ სასკოლო ცხოვრებაში. პრაქტიკანტების მიერ აუცილებელია მოსწავლეებზე დაკვირვება, პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახასიათების უნარ-ჩვევების გამომუშავება, სკოლისა და კლასის მართვის პრინციპების გაცნობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან მუშაობის თავისებურებების გათვალისწინება და სრულყოფა.

პირადი გამოცდილებიდან პრაქტიკის მიმდინარეობისას მასში ჩავრთეთ მენტორი, (მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პედაგოგი), ასევე საუნივერსიტეტო დეპარტამენტების წარმომადგენლები, პრაქტიკის ხელმძღვანელი და საგნის მეთოდისტი. რამდენადაც, დაწყებით კლასებში მასწავლებლები სსწალო პროცესს წარმართავენ კომბინირებულად, ამდენად პედაგოგიური პრაქტიკის დროს მათ უხდებათ როგორც საცდელი ასევე შესაფასებელი გაკვეთილების ჩატარება სხვადასხვა დისციპლინაში.

პრაქტიკის კალენდარულ გეგმას, პრაქტიკის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიმუშავებს პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს მენტორთან. კალენდარულ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა იმ მოთხოვნის შესრულება და შესაბამისი დოკუმენტების წარმოება რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიერ. ჩვენს შემთხვევაში სავალდებულო დოკუმენტაციას წარმოადგენს: სტუდენტის დღიური და მისი წარმოება, სადაც მოცემულია მონაცემები სტუდენტისა და პრაქტიკის ობიექტის შესახებ. სტუდენტი ყოველდღიურად ახდენს შესრულებული სამუშაოს აღწერას, რომელსაც აფასებს მენტორი. საბოლოო

დასრულებულ დოკუმენტს ამოწმებს პრაქტიკის ხელმძღვანელი და ადასტურებს ფაკულტეტის დეკანი.

პრაქტიკის პერიოდში, სტუდენტები ხელმძღვანელობენ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით და სილაბუსში მოცემული სტუდენტის შეფასების კომპონენტებითა და კრიტერიუმებით (წარმოვადგენთ თანდართულად), რომლის მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს საბოლოოდ სტუდენტი. პრაქტიკანტისათვის სავალდებულოა: ა) მოსწავლეთა პედაგოგიური და ფსიქოლოგიური დახასიათება, რომელსაც შეაფასებს შესაბამისი დეპარტამენტის წარმომადგენელი მაქსიმალური ქულა-5. ბ) აღმზრდელობითი ღონისძიების ჩატარება მაქსიმალური ქულა-10. გ) გაკვეთილის ჩატარება შეფასება მაქსიმალური ქულა-50. დ) პედაგოგიური პრაქტიკის დღიურის წარმოება შეფასება მაქსიმალური ქულა-15. ე) პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია (დაცვა), მაქსიმალური ქულა-20. მოცემული მოთხოვნებიდან გამომდინარე მიიღება საბოლოო 100 ქულიანი შეფასება.

თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად პრაქტიკანტმა პრეზენტაციაზე დაშვებამდე უნდა წარმოადგინოს მენტორის დახასიათება, სადაც აღწერილი უნდა იყოს სტუდენტის მიერ გამოვლენილი ცოდნა და უნარები, მის მიერ შესრულებული სამუშაოს აღწერა, შენიშვნები და რეკომენდაციები. ამის შემდეგ მიეცემა პრაქტიკანტს პრაქტიკის ანგარიშის შედეგის ინსტრუქცია, მოახდენს პრეზენტაციას და მიეცემა საბოლოო შეფასება.

რამდენადაც უნივერსიტეტის კონტინგენტი განისაძვრება თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოდან, მოცემული მოთხოვნებით პრაქტიკის ჩატარება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს გაფორმდეს მემორანდუმები ქალაქისა და რეგიონების საჯარო სკოლებთან. აქედან გამომდინარე ხელშეკრულების საფუძველზე სკოლებს ეძლევათ უფლებამოსილება ჩვენმა სტუდენტებმა პედაგოგიური პრაქტიკა გაიარონ მათთან.

აღსანიშნავია, ქალაქ ქუთაისის #2 საჯარო სკოლასთან არსებული განსაკუთრებული ხელშეკრულებისა და იქ არსებული პედაგოგიური კლინიკის გამოყენების შესახებ. პედაგოგიური კლინიკის მუშაობაში ჩართულია უმაღლესი კვალიფიკაციის მასწავლებელი, დაწყებითი განათლების კათედრის გამგე, პროექტ “G-pried” მათემატიკის ტრენერი. მასთან ერთობლივი თანამშრომლობით ვგეგმავთ სხვადასხვა აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობენ მომავალი მასწავლებლების პედაგოგიურ დაოსტატებას.

ზემოთ გნხილულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედროვე დაწყებით სკოლისათვის საჭირო, მაღალკვალიფიციური ახალი ტიპის მასწავლებლების

მომზადების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არის, პედაგოგიური პრაქტიკის სწორად დაგეგმვა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ჩატარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ
2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრძანებები, აკადემიური და პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოების დადგენილებები